№ 117. 4 ივნისი, ოთხშაბათი. 1866—1880 4 ივნისი, ოთხშაბათი. № 117.


**რედაქცია**

[illegible] მოედანზე, [illegible] თავში მარცხნივ თ. ლ[illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

[illegible] ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით [illegible] ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერს [illegible], რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.


## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ
ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად
1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ
(„ივერიის“ სამი წიგნი)
ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 2 ივნისს. პუშკინის ძეგლის კურთხევა და იმის დაბადების დღესასწაული კიდევ გადადვეს. გაზ. „გოლოსი“ ამბობს, რომ 6 ივნისს იდღესასწაულებენო.

სტამბოლი, 2 ივნისს. უმთავრეს სახელმწიფოთა ელჩების პირველ თარჯიმნებმა (დრაგომანებმა) აბბედინ-ფაშას ჩააბარეს ერთ-გვარი ნოტა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ოსმალეთმა შეასრულოს ჩერნოგორიასთან შეკრული პირობა შესახებ ადგილების გაცვლისა, და აგრეთვე შეასრულოს ბერლინის ტრაქტატის მე-61 მუხლი სომხეთში რეფორმების შემოღების თაობაზედ.

## ბისმარკის ბრძოლა პარლამენტთან

ტფილისი, 3 ივნისს.

საფრანგეთის დამარცხებამ და გერმანიის იმპერიის აღდგენამ ისეთს მაღალს ტახტზედ დასვა ბისმარკი, რომ არამც თუ თვითონ გერმანიის ხალხს, მთელს ევროპას თავბრუ ეხვევოდა, როდესაც მოინდომებდა იმ სიმაღლემდე ახედვას.

რამდენსამე წელიწადს ბისმარკი იყო სრული მბრძანებელი გერმანიისა; რასაც იტყოდა უეჭველად უნდა შესრულებულიყო.

მაგრამ ხალხი თან-და-თან უფრო-და-უფრო უკვირდებოდა მის მოქმედებას; იმან დაინახა, რომ გერმანიის კეთილ-დღეობა ვერც ერთობამ აღადგინა, ვერც გამარჯვებამ, ვერც ხუთი მილიარდი ფრანკის საფრანგეთიდამ გამოტანამ.

თან-და-თან დაეკარგა ბისმარკს თავისი ძლიერება გერმანიის პარლამენტში; რამდენსამე შემთხვევაში ლიბერალებმა უკმაყოფილება გამოუცხადეს. ლიბერალების უკმაყოფილებას ზედ დაერთო აგრეთვე ცენტრის პარტიის მძულვარებაც; ეს პარტია მომხრეა რომის ეკკლესიისა და ბისმარკმა დიდი ხანია, რაც ამ ეკკლესიას ომი გამოუცხადა, ცდილობს, რომ ეკკლესია სახელმწიფოს დაუმორჩილოს და ეპისკოპოსები მთავრობისაგან იყვნენ დადგენილნი და გადაყენებულნი, ე. ი. ბისმარკს უნდა რომ ყოველივე გერმანიაში იმისი მონა იყოს და სხვა სახელმწიფოებიდამ ვერავინ შეერიოს გერმანიის შინაურს საქმეებში.

უკანასკნელს დრომდე ბისმარკი მართლა რომ მბრძანებლობდა; ერთი პარტია წინააღმდეგობას გაუწევდა, მეორის ხელში მოიგდებდა და ვიდრე ეს მეორე სასარგებლო იყო მისთვის, ეფერებოდა; შემდეგში სხვა სურვილის შესასრულებლათ მეორესაც პირველს შესწირავდა.

სწორეთ ისე იქცეოდა ბისმარკი, როგორც სოფლის მამულის მომვლელი იქცევა: ჯერ იმ პირუტყვებს უვლის, რომელთაგანაც გამოელის რასმე და როცა ისინი გამოსაყენებელნი აღარ არიან ან დაჰხოცავს და მძოვრს გადაჰყრის, ან სხვას შეაჭმევს.

ხომ გინახავთ, როგორ უვლიან აბრეშუმის ჭიას, ვიდრე ეს ჭია აბრეშუმის პარკებს არ გააკეთებს და შემდეგ, როგორ მდუღარე წყალში ჰყრიან და მათის მძოვრით ქათმებს ასუქებენ.

ამ ათი წლის გაუწყვეტელმა ბრძოლამ, ათი წლის თვალთმაქცობამ დაღალა ბისმარკი. ეხლა ის სხვა გზას დასდგომია. ჯერ განუცხადებია რომის პაპისთვის შერიგების სურვილი, მაგრამ, დახედეთ დამცირებას, მისთვის პაპს უარი უთქვამს, მაშინ ბისმარკს ცხარე წიგნი მიუწერია პაპისთვის, რომელშიაც ეუბნება, თუ არა გნებავს შერიგება, დიახ ბატონი ბძანდებით, უშენოთაც შემიძლიან მე ჩემი გზა გავიკვლიოო.

ამის შემდეგ ბისმარკმა წარუდგინა გერმანიის პარლამენტს კანონის პროექტი, რომელმაც მმართებლობას უფლება უნდა მისცეს, შეამციროს, თუ საჭიროთ დაინახავს, სისასტიკე რომის ეკკლესიის წინააღმდეგ გამოცემულის კანონებისა და ისეთი სურვილი აქვს თურმე ბისმარკს ამ კანონის დამტკიცებისა, რომ თუ არ დაამტკიცა პარლამენტმა, სამსახურიდგან გამოვაო.

ძნელი გასაგებია პირველში ეს სურვილი ბისმარკისა, მაგრამ კიდეც ეგ არის, რომ ამ გვარი კაცის მოქმედება სხვებისას არა ჰგავს.

თუ დაფიქრდება კაცი მალე მიხვდება, რათ ჩადის ამას ბისმარკი.

ის ამ კანონს თხოულობს საბრძოლველ იარაღათ გამოსაყენებლად.

ეს კანონი თოკი იქნება ცენტრის პარტიის ყელში ჩაჭერილი; როდესაც ეს პარტია ბისმარკს წინააღმდეგობას არ გაუწევს, ის თოკს მოუშვებს; თუ გაჯიუტდება, უფრო წაუჭერს, სხვა პარტიებს ასიამოვნებს და თავის ნებაზედ დაიყოლიებს.

მთელი გერმანია ეხლა და ამ კანონის პროექტზედ ლაპარაკი. პარლამენტს კომისიისთვის გარდაუციაო და ჟურნალ-გაზეთები დიდის ინტერესით უგდებენ ყურსა, რა გარდაწყვეტილებას დაადგენს კომისია.

ამბობენ, ორ კვირაზედ აღრე პარლამენტი ამ საგანზედ სჯას ვერ გამართავსო.

მ.

## ფელეტონი

### სასოფლო შკოლის რევიზია.

ცხელი დღეა. ცა გახურებულ თონესავით გადმომხობია მიყრუებულ სოფელს. ქუჩებში ერთი სულდგმულიც არ მოიპოვება. ძაღლები, ღორები და ქათმები,—ჩვეულებრივი მუდმივი ყარაულები ქუჩებისა,—ესენიც კი გადაკარგულან სადღაც ეშმაკებში! სახლის პატრონები შინ არ არიან, — მინდორში სამუშაოთ წასულან; სახლები დარჩენიათ მხოლოდ პატარა ბავშვებს, ან დედაბრებს; მაგრამ ესენიც კი არსად სჩანან. ზოგი ბანაობს, ზოგს სძინავს, ზოგი ჩრდილოში წამოწოლილა!

სოფლის ბოლოში უეცრად მოისმა ზარის წკარა-წკური. ქოხების კარები გაიღო აქა-იქა და იქიდამ გაკვირვებით დედა-ბრები გამოიცქირებიან.

— ნეტაი შენ, კაცო, ვინცა ხარ! საქმე გამოგლევია! მოისმის ერთი ქოხიდგან.

— უთუოდ მწერალი იქნება, დასეირობს! დაუმატებს ვიღაც მეორე ქოხის კარებთან,

— ვაი შენ და შენს თავს! გული გადმომიბრუნდა ამ საშინელი რახრახისაგან!

ზარის ხმა უფრო და უფრო მოახლოვდება. წინ ზის ქუჩერი, მათრახს იქნევს და აქეთ-იქით იყურება! უკან —ბატონი, ჩალის შლიაპით, რომელიც უკან მოქცევია; თეთრი პალტო სიცხის გამო გაუხსნია; წვერები და თმა ოფლით დასველებია, თითქო პირი ეს არი ეხლა დაუბანიაო.

— დადექ, ბიჭო! უბრძანა ბატონმა ქუჩერს; გაისწორა ქუდი, მოიწმინდა ოფლი, გააფურთხა, ჩაახველა და მიიხედ-მოიხედა გარშემო: აქ შკოლა სად არის, თუ იცი?

— შკოლა?! არ ვიცი ბატონო! მე ამის მეტად აქ არა ვყოფილვარ! მიუგო ქუჩერმა კისერი მოიქექა და დაუმატა: უნდა ვკითხოთ ვისმეს!

— აბა ჰკითხე, ჩქარა... გადმოხტი რაღა, ჩქარა! უბრძანებდა ბატონი მოუთმენელად.

მაგრამ ქუჩერი წლაწვნით ჩამოვიდა ძირს, ერთი კიდევ მოიქექა კისერი, გაასწორა ცხენების მორთულობა, ცხენებს ყურები დაუჭირა და მიიხედ-მოიხედა გარშემო. არავინ არ არის. ცხენები ფრთხვინავდნენ, კუდებს აძრევდნენ და ამ დროს ზარები ნელა წკარუნობდნენ ხოლმე.

— ჰა, რასა დგეხარ? წადი, ემანდ ქოხში იკითხე, საით არის თქო შკოლა... რევიზორი...

ქუჩერმა მათრახის წვერით დაიფხანა ზურგი და მივიდა ქოხთან; უტრიალა იმას აქედამ, იქიდამ და შეაღო კარები.

— არავინ არ გახლავთ, უნდა დავიცადოთ!.

— ოჰ! ოხრავდა მოუთმენელად რევიზორი.

ამ დროს იმათკენ მოდიოდა ერთი დედაკაცი, რომელსაც მოჰქონდა დაკრეფილი ბალბა შექამანდათ.

— დედი, დედი! დაუძახა რევიზორმა: საით არის თქვენი შკოლა, გვასწავლე!

— სკოლაი? ისევ იქ გახლავთ, სადაც იყო!

— სად იქ, სად იყო, არ ვიციი!

— აი, ზემოთ, თითილოვიანთ კარებზედ!

— რომ არ ვიცით, საით არის; ვერ გავიგეთ მაგ სწავლებით!

— აი, პირ-და-პირ მაღალი ხეები არა ჩანს, ემანდა!

— ჯერ კიდევ არის, თუ იცი სწავლა? ხომ არ დაუთხოვნიათ შეგირდები?

— არა, იქვე გახლავან ბიჭები. ერთი ჩემი ბიჭიც არის, მაგრამ ჯერ არ მოსულა;

მადლობელი ვართ, დედი!.. წავიდეთ.!

- ქუჩერი ისევ დაჯდა და გაუჯავრდა ცხენებს. აჰყვა ზარის წკარუნი ცხენების ფეხის ხმას და ეკიპაჟის რახა-რუხს. მალე ეკიპაჟი მივიდა თითოლოკიანთ უბანში. აი, აქ დუქანთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალაქის რჩევის სხდომა

2 ივნისს.

წინანდელ სხდომის პროტოკოლი რომ წაიკითხეს, წამოდგა ხმ. ნიკოლაძე და სთქვა დაახლოებით შემდეგი: მოგეხსენებათ, რომ ამ ივნისის 4-ს რუსეთი დღესასწაულობს მოსკოვში თავის გამოჩენილ პოეტის პუშკინის დაბადების დღეს. საჭიროდ არ ვრაცხ გითხრათ—თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პუშკინის ნაწერებს მთელის რუსეთისათვის. მაგრამ ის სიმპატია და თანაგრძნობა, რომლითაც ის მუდამ იხსენიებს კავკასიას თავის თხზულებებში, ზნეობით ვალდებულებას გვდებს, რომ ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ამ დღესასწაულში. მე არ ვთხოულობ მატერიალურ რასმე მსხვერპლს ქალაქისაგან,—ვიცი ჩვენის ქალაქის სიღარიბე,—მაგრამ სხვა გვარათაც შეიძლება იმის პატივისცემის განცხადება: ჩემი წინადადება ეს არის: ვთხოვოთ ქალაქის თავს, რომ ოთხს ივნისს თანაგრძნობის ტელეგრამმა გაგზავნოს მოსკოვში ჩვენის ქალაქის მხრით და ამას გარდა ერთს რომელსამე ქალაქის ქუჩას პუშკინის სახელი დაერქვას.

რჩევამ მიანდო ქალაქის თავს, 5 ივნისს ტელეგრამმის გაგზავნა მოსკოვში.

შემდეგ ქალაქის თავმა აცნობა რჩევას, ქალაქის ფანრების განათებაზე რო ვაჭრობა იყო დანიშნული, იმ ვაჭრობაზე რამდენიმე კაცი გამოცხადდაო, რომელთაც თითო ფანრის განათებისათვის წელიწადში ზოგმა 23, ზოგმა 24 და ზოგმა 27 მანეთი ითხოვესო; მხოლოთ ერთმა ღარიბაშვილმა გამოგზავნა ბაქოდამ განცხადებაო, რომელშიაც ეწერაო, რომ ის თანახმაა თითო ფანარში 19 მან. და 78 კაპეიკს დასჯერდეს ქალაქს.

რჩევამ გარდაწყვიტა, რომ ამ ღარიბაშვილს ჩამოერთვას ჯეროვანი გირაო და მიეცეს სამის წლის განმავალობას ქალაქის ფანრების იჯარით განათება 19 მანეთად და 78 კაპეიკად.

ბევრი ლაპარაკი იყო ქალაქის გამგეობის იმ წინადადებაზე, რომელიც ჩვენს გუშინდელს ნომერში მოვიხსენიეთ, ე. ი. რომ ქალაქმა სხვა-და-სხვა შენობათა ასაგებელად, იარმუკების გასამართავად და ვალების გარდასახდელად 750,000 მან. სესხი აიღოს.

ხმოს. **ელიმირზოვმა** წარმოსთქვა აზრი, კარგი იქნებაო, რომ მთავრობას ერთსა-და-იმავე დროს ვსთხოვდეთ შინაგან ანუ გარეგან (სამზღვარგარეთის ბანკირებისაგან) სესხის აღების უფლებას. ერთ-ერთის უფლებას მაინც მოგვცემსო; თორემ ბევრი დრო გაივლისო.

ხმოს. **გამბაროვი** უპასუხებს ელიმირზოვს, რომ თუ შინაგან საქმეთა მინისტრს დაწვრილებითი პლანი არ წარუდგინეთ სესხისა, ისე არ მოგვცემენ ნებასაო; და ამ გვარ პლანის წარმოდგენა ახლა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან არავისთან მოლაპარაკება არა გვაქვსო. შინაგან სესხის აღებაზე კი ჩვენ შეგვიძლია წარუდგინოთ პლანი ობლიგაციების გამოცემის თაობაზედაო.

ხმ. **ნაკაშიძე** თანახმაა სესხის აღებისა მხოლოთ იმ პირობით, რომ ეს ფული მარტო იმ საჭიროებაზედ იქმნეს მოხმარებული, რომელიც გამგეობისა და ფინანსის კამმისიის მოხსენებაში არის ნაჩვენები. ამას გარდა ის ამბობს, რომ ამ სესხით ასაგებ შენობათა პროექტის შედგენას ჩვენ ახლავე უნდა მივყოთ ხელიო, თორემ ობლიგაციების სარგებელი თვეში ხუთას თუმნამდის, ტყუილად უნდა ვაძლიოთო.

ხმოს. **ჩოლოყაშვილის** აზრით ქალაქისათვის უფრო სასარგებლო იქნება, რომ $23^1/_2$ წელიწადზე უფრო მომეტებულის ვადით აიღოს ქალაქმა ეს სესხი, რადგან ამ შემთხვევაში ვალის გარდასახდელი (სარგებლის გარდა) ქალაქმა მუდამ წელიწადს 2%-ზე ნაკლები უნდა აძლიოს. და თუ ქალაქს ფული ექნება და შეეძლება ვსთქვათ 43 წელიწადზე ან 54-ზე უფრო ადრეც გამოისყიდის თავის აბლიგაციები და გარდაიხადოს.

ხმოს. **გამბაროვი** ეწინააღმდეგება ამ გვარ ხან-გრძლივ სესხს. იმის აზრით, ეს პირველი და უკანასკნელი სესხის აღება არ იქნება ქალაქის მხრით, წყლის-გაყვანისათვის და სხვა საჭიროებისთვის დაგვჭირდება ჩვენ კიდევ ვალის აღება და როცა ქვეყანა დაინახავს, რომ ჩვენ სხვა ხან-გრძლივი ვალებიცა გვაქვს, რომელსაც გაჭირებით ვიხდით, ახალის ვალის აღება გაგვიჭირდება.

ხმოს. **ხარაზოვი** თუ ქუთაისსა და ფოთს კარგი შემოსავალი აქვთ ხიდებიდამ, ჩვენ უფრო მომეტებულს არ უნდა მოველოდეთ!

ხმ. **ზარაფოვი** თანახმაა, რომ ქალაქმა სესხი აიღოს; მაგრამ როგორი სესხი? თუ ერთგვარ პროცენტებს გარდვიხდით, რასაკვირველია, შინაგანი ჩვენებური სესხი უფრო სასარგებლო იქნება, ვინემ სამზღვარ გარეთ აღებული, რადგან სარგებელი ჩვენშივე დარჩება. მაგრამ რადგან 6% (სარგებლით) ჩვენში ძნელია ფულის შოვნა, ამის გამო ჩემი აზრი ეს არის რომ ავიღოთ შინაგანი მოგებიანი სესხი....

— არ შეიძლება! ნებას არ მოგვცემენ!

ბოლოს რჩევამ მიიღო შემდეგი გარდაწყვეტილებანი:

1) ქალაქმა ისესხოს 750,000 ქალაქის აბლიგაციების გამოშვებით;

2) რადგან შესაძლებელია, რომ ადგილობრივად ქალაქმა ვერ იშოვის ეს ფული (ვერ გაასაღოს აბლიგაციები), ამის გამო ქალაქის თავს მიენდოს სიმზღვარ გარეთის ქალაქებიან ანუ ბანკირებთან ეცადოს ამ საქმის გარიგება;

3) [illegible] უმაღლეს მთავრობასთან, რომ მოგვცეს უფლება გამოვცეთ ქალაქის აბლიგაციები $23^1/_2$ წლის ვადიანი, რომელთაც წელიწადში 6% ექნებათ.

4) სანამ ამ ვალის აღების უფლებას მივიღებდეთ, ქალაქის თავმა სთხოვოს მ. ი. უ. კავკასიის მთავარ-მმართებელს, რომ, საჭირო შენობათა ასაგებად, ქალაქს მიეცეს რამდენი ფულიც საჭირო იქნება სახელმწიფო ხაზინიდამ;

5) სესხი მოხმარდეს მხოლოთ იმ საგანთა, რომელნიც გამგეობის მოხსენებაში არის ნაჩვენები;

6) უველა შენობათა აგებამდინ რჩევას წარედგინოს ამათი პლანი და სმეტა და

7) ქალაქის თავს მიენდოს, რომ ამ საგნის თაობაზედ იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

## ახალი ამბები

—

არხეოლოგს ბაიერნს გაუთავებია მცხეთაში ძველის ნაშთების ძიება ამონათხარებში და გადასულა ს. წიწამუხასკენ მცხეთასა და საგურამოს შუა. ეს სწავლული გვარწმუნებს, რომ მრავალი საინტერესო ნივთი უპოვნია ამონათხარებში, რომელნიც არა თუ ჩვენის ძველის ისტორიის გამოსაკვლევათ გამოდგებიან, საზოგადო ისტორიასაც ბევრს ნათელს მოჰფენენ.

როდესაც ბაიერნის შრომა ხელში ჩაგვივარდება, ჩვენს მკითხველებს დაწვრილებით ყველაფერს შევატყობინებთ ამ საგანზედ.

***

თბილისის გუბერნატორს შეუტყობინებია მთავარ-სამმართველოსთვის

---

სასოფლო კანცელარიასთან, პურის მაღაზიასთან და სხვა „საჯარო“ ადგილებთან იმყოფებოდა სასწავლებელიცა. შკოლა იყო გამართული ქოხში, რომელიც სხვა ქოხებსა ჰგვანდა მხოლოდ ცოტა წამოწოლილი იყო; ფანჯრები ღია იყო, საიდამაც მოისმოდა დამაყრუებელი ქლავილ-ქლუვილი ბავშვებისა. ზარის ხმაზედ თავები გამოჰყვეს ბიჭებმა და ისევ მიიმალნენ.

რევიზორი გადმოვიდა ეკიპაჟიდამ და წავიდა ქოხისაკენ; შეაღო კარები და შევიდა შიგა. ქოხში ფიცრებზედ, იატაკზედ ფანჯრებზედ, სტოლზედ, ბუხართან იდგნენ, იწვნენ, დარბოდნენ ბიჭები, რიცხვით ოციოდე, იქნება ნაკლებიც. ერთ ალაგას ჭიდაობდნენ, მეორე კუთხეში კოჭაობდნენ და სხვები სხვაფრივ იყვნენ გართულნი. უცხოს დანახვაზედ იმათ ხმა გაკმინდეს და მილაგ-მოლაგდნენ.

— გამარჯობათ, ყმაწვილებო წასძახა იმათ რევიზორმა და მოივონა როგორ უნდა მოქცეულიყო რევიზიის დროს; თან ათვალიერებდა ბიჭებში მასწავლებელს.

ყმაწვილებმა თავის დაკვრით მისცეს პასუხი რევიზორის „გამარჯვებას“ ზოგი რაღაცას დუდღუნებდა.

— აღ არის თქვენი მასწავლებელი?

— აქ არ გახლავთ, წავიდა.

— სად წავიდა?

— რა ვიცი, ვილაცამ დაპატიჟა!

— დიდი ხანია?

— კარგა ხანია? წელან წავიდა!

— თქვენ რაღას აკეთებთ აქა?

უჩიტელმა გვითხრა, აქ იყავითო, უფრო კი იკითხეთო!

რევიზორმა გაიქნივ-გამოიქნივა თავი და უბრძანა მასწავლებლის დაძახება.

ერთი ბიჭი დატრიალდა ციბრუტივით, გაირბინა რევიზორის ფეხებთან, წამოჰკრა იმას ფეხი და შურდულივით გავარდა კარზედ. რევიზორს რაღაც უნდოდა იმისთვის ეთქვა, უძახეს, მაგრამ ის ძალიან გარბოდა; კარებში გოჭი დახვდა, ვერ შენიშნა, ფეხი დაჰკრა და ლაზათიანათ დააჭყვირა. საწყალს ფეხები მაღლა მოექცა და კარგა ხანს ირტიალა ჭყვირილით. იმისი ხმა გარგა ხანს გაისმოდა მოსწავლეებისა და რევიზორის ყურებში, რომელნიც სულ გაკმენდილნი შესცქეროდნენ ერთმანერთს და ათვალიერებდნენ. რევიზორი წამოდგა და მრისხანეთ დადიოდა სასწავლებლის ოთახში უყურებდა კირ გადაცლილს, მიგლეჯილ-მოგლეჯილს კედლებს, მტვრით სავსე ოთახის იატაკს; ბუზების ბზუილს თავი მიჰქონდა.

— აი სასწავლებელი! ჩორთ ეგოვოზმი სავსემ! ფიქრობდა ისა.

რევიზორი ძალიან დაღალული იყო ამ ცხელ დღეში მოგზაურობით; ამას სასწავლებლის მდგომარეობაც ზედ დაემატა და სრულიად დაუფანტა ის ქების სიტყვა, რომელიც დალაგებული ჰქონდა მასწავლებლისათვის სათქმელად. შკოლაში ჩამოვარდა სიჩუმე. ყმაწვილები უფრო და უფრო წათამამდნენ და დაკვირვებით შინჯავდნენ მთავრობას.

— „მაინც, რაც უნდა იყვეს, გამოვცდი მოსწავლეებს! მოვსულვარ— მხოლოდ გამოცდისათვის!“ იფიქრა რევიზორმა.

ის მივიდა ერთ ყმაწვილთან, რომელსაც თმის დალალები მხარზედ გადმოფენოდა. ყმაწვილი ადგა, მიაბჯინა თვალები იატაკს და თითით დაუწყო სტოლს ფხაჭნა.

— რას გასწავლიან თქვენ აქა? ჰკითხა თავმდაბლათ რევიზორმა.

— ჩვენ... ყველაფერს გვასწავლიან!

— რას ყველაფერს, რა და რა საგნებს?

— წაკითხვას გვასწავლის და წერას გვასწავლის... ლოცვებს... ყმაწვილი დაფიქრდა.

— აბა ახლა შენა სთქვი! მიუბრუნდა რევიზორი მეორეს. ესეც იმ გვარათვე წამოდგა და გაიკრა ცხვირში ხელი და მაჩვენებელი თითით დაუწყო ჩიჩქნა!

ისევ სიჩუმე.

რომ გორის მაზრაში იმოდენა კალიაა, რომ ხალხი ველარ ასდის. ამ მოხსენების გამო მთავარ-სამმართველოს უფროსს მიუწერია ქუთაისის გუბერნატორისთვის, რომ იმან გამოგზავნოს სამი ათასი კაცი ქართლში კალიის გასაწყვეტად და აცნობოს ამ ხალხს, რომ ისინი მოდიან მხოლოდ თავის მოძმე ხალხის საშველად და თუ არ მოეხმარებიან ამ საზოგადო უბედურებაში, შეიძლება, კალია ძალიან გამრავლდეს და იმერეთსაც ზიანი მისცეს რამე. ამ ხალხს რკინის გზით მუქთად გადმოიყვანენ და მუქთადვე გადაიყვანენ შემდეგ კალიის გაწყვეტისა იმერეთში. ხარჯად მხოლოდ პური მიეცემათ.

27—29 მაისამდე სამი ათასი კაცი ხალისით მოშველებია ქართლსა. ეს ალხი სამ წილად გადმოუყვანიათ; მხოლოდ გორის მაზრაში არაფერი განკარგულება არა ყოფილა მოხდენილი. . . .

ხალხი იმერეთიდამ ორი დღის საგზლით წამოსულა და ქართლში კი არა მიუღიათ-რა; შიმშილს ბევრი წილი იმერლებისა უკანვე დაუბრუნებია იმერეთში.

* * *

ბ. ელ. ბაბალოვი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „დროების“ მე-96 ნომერში დაბეჭდილი ფოთის კორრესპონდენცია იმას არ ეკუთვნის.

ვასრულებთ იმის თხოვნას და ვაცხადებთ, რომ ის კორრესპონდენცია მართლა ხსენებულს პირისგან არ იყო რედაქციაში გამოგზავნილი.

* * *

მეტეხის სატუსაღოს, ბიბლიოთეკისა-თვის მივიღეთ ჩვენ შემდეგი 21 წიგნი ბ. ალექსანდრე სარაჯოვისაგან: ფსალმუნი დავითისი, ქურთული ანდაზები—12 ეგზ. სიცრუე დიდი ცოდვაა, წმ. სახარება, ალექსიანი, ლოცვანი, სხვა და სხვა ხელოსნობის სახელმძღვანელო წიგნი, ქვრივის ლიმონები, მირიან მეფე და წმ. ნინო და მეფე-ლირი (ტრაგედია).

* * *

დღეს, 4 ივნისს, შტაბში, დანიშნულია საზოგადო კრილობა კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოებისა, თ. ლ. ი. მელიქოვის თავს-მჯდომარეობით. ამ კრებაზედ სხვათა შორის მქნება:

1) ამორჩევა საზოგადოების მომქმედ წევრთა;

2) ნ. ნ. ლევაშოვი წაიკითხავს თავის შენიშნვას ბათუმის ახალ სამზღვარზედ;

3) გამერკორნი—თავის კასპიის იქით მხრებში მოგზაურობაზედ;

4) ნ. კ. ზეიდლიცი წაიკითხავს უსლარის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ სტატიას კოლხელების მნიშვნელობაზედ ქართველთ ტომის ხალხებში, და

5) იგივე ზეიდლიცი წარუდგენს საზოგადოებას ბატონის შვილის ვახუშტისაგან 1,735 წელს შედგენილს საქართველოს ხელ-ნაწერს ქართას.

* * *

რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ უმაღლესსმთავრობას წარდგენილი აქვს დასამტკიცებელად წინადადება, რომლის ძალითაც ბათუმის რკინის გზის გაკეთება ფოთი-თბილისის რკინის გზის საზოგადოებას უნდა ექმნეს მინდობილი.

* * *

ამავე გაზეთების სიტყვით, ფრანცუზის კონსულად თფილისში დაინიშნება ბატ. კუტული, რომელიც უკანასკნელ ომიანობის დროს ჩვენს ჯარში იყო პარისისაკენ ფრაცუზულის გაზეთის „*Temps*“-ის კორრესპონდენტად.

* * *

კარგა საგრძნობელი სიცხეები დადგა ჩვენს ქალაქში! სულის მოთქმაც კი ეძნელება კაცს... ჯერ ივნისის დამდეგია და ამისთანა სიცხეები დაიჭირა და ივლისში და აგვისტოში რაღა მოგველის, თუ ასე გასტანა?!

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**კახეთი**, 23-ს მაისს. მშვენიერს სურათს წარმოადგენს ჩვენის ტურფა საქართველოის უმშვენიერესი კუთხე—კახეთი. აღყვავებულია, როგორც საქორწინოდ მორთული პატარ-ძალი: მშვენიერი ალაზნის ველი მოფენილია ხშირის, მაღალის და თავთავ-ამოღებულის მღელვარე ყანებითა. მინდვრები შიგა-და-შიგ აჭრელებულნი არიან გაზაფხულის ნახნავითა სიმინდ-ფეტვისათვის და თუმცა კახეთმა მიაშველა თავის მოძმე ქართლელ-ერეთელებს 2,000 კაცი კალიის გასაწყვეტად, მაგრამ კახელებმა მაინც საკმაოდ მოჰხნეს და ჰხნავენ სიმინდ-ფეტვისათვის. ვენახებიც ყვავილში არიან და კარგს მოსავალს გვიქადიან.

უბედურება ესაა, რომ ხშირი წვიმები ცოტა არ იყოს აწუხებენ და უშლიან ყანას თავ-თავის მარცვლებით ამსებასა, ეს წვიმები რომ არა, ქერი მაისშივე გაიჭრებოდა. და თუ შემდეგმა მთვარემაც აგრე დაინიქა წვიმები, კალიის მაგიერს წვიმები გვიზმენ: ყანას გუდა-ფშუტად გარდაგვიქცევს, — ღმერთმა დაგვიხსნას!... კახელი გლეხი გულს გვიკეთებს და გვეუბნება: —„იმედი მაქვს პური შვიდრვა აბაზად გაჭამოთო.“ ღმერთმა განუმართლოს ჩვენს გლეხს იმედი!

მაისი ლამის გაეიდეს და აქეთკენ ჯერ კიდევ საგრძნობლად ცივა. ველზედ რომ წვიმა მოდის, იალალზე (კავკასიის მთებზე) ჰსთოვს; ამიტომ მთაზედ დიდი თოვლი სძევს და ღელეებში დიდი ზვავებიაო.

წყალ-დიდობა ჯერ არ გასულა კახეთში: დიდი ხევები და თვით ალაზანი გაგიჟებული მორბიან. ხიდი გაფუჭებულია და, როგორც პატრონებმა დაგვარწმუნეს, შირაქიდამ იალალზე მიმავალს ცხვარს დიდად აზარალებს ალაზანი. მრავალი ცხვარი თურმე ილრჩობა წყალში... ამ კვირაში თ. გ. ჭ—ძის ტროიკის ცხენებიც დაალრჩო ალაზანმა.

ძვირობა ისევ სუფევს კახეთში. თელავში გირ. ხორცი 14 კაპეიკია. ამ შემთხვევაში თვით ადმინისტრაცია დამნაშავე: დიდმარხვაშივე მიიწვიეს თელავის ყასბები სამმართველოში და უთხრეს: „ოღონდ ძროხას ნუ გამოლევთო და როგორც გინდათ გაყიდეთო; 14 კაპ. დაგინიშნავთ?!“ აბა, გიჟები ხომ არ იყვნენ ყასბები, უარი ეთქვათ!

2,000 კაცი მიაშველა კახეთმა კალიის გასაწყვეტად—მეთქი. თელავი რომ ყოველთვის უკან რჩება სოფლებზედ—ახლაც დამტკიცდა: თელავს 360 კაცი უნდა გაეყვანა; მაგრამ როდესაც სოფლებიდამ შეიკრიბა ხალხი, თელავს მხოლოდ 140 კაცი ჰყვანდა მზად! ამბობენ თვით მაზრის უფროსმა იკისრა დანაშთენი მუშების მაგივრად ტფილისში დაქირავება და თვითო მუშაზედ 20 მ. მოკრიბა თელავშიო.

სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც თელავიდამ დაიძრა 2,000 კაცი სიმღერითა! თვითო საზოგადოების ხალხი ცალ-ცალკე დასტად მიდიოდა საამურის მაყრულითა და მხიარულად! და ჩვენი ხალხი მართლა რომ არის „იგივ მხნე, იგი მღერალი, მოყვარე თავის მიწისა,“ როგორც ყოფილა ძველად!..

კახელი წინწიბურა.

## საზღვარგარეთი

—

**წვრილი ამბები.** „ვოლფის სააგენტოს“ შეუტყვია, რომ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია ბერლინში 16 ივნისს მოხდება.

—

— რატომ ხმას არ იღებ? ჰკითხავს რევიზორი.

— დამავიწყდა!

— დასხედით! სთქვა რევიზორმა გაჯავრებით, ხელი დაიქნია და წამოდგა: მოდი და რევიზია უყავ!

ცოტას ხანს უკან ისევ დამშვიდდა და დაიწყო კითხვების ძლევა.

— ლოცვა იცი რამე?

— მე? მე მეუფეო ვიცი!

— სხვა არაფერი?

— როგორ არა, კიდე ხვთიშობელო ვიცი!

— კარგი, დაჯექ! აბა, შენ, შავ ჩოხავ, სთქვი, თუ იცი მამაო ჩვენო?

შავ-ჩოხა კარგა ხანს იდგა ჩუმათ და ფიქრობდა. ბოლოს დაიწყო, ჩქარა გამოსათქმელივით: მამაო ჩვენო რომელი ხარ ცათა შინა... დადექ, ბიჭო, რა მუჯლუნგსა მცემ!.. წმინდა იყავ... მოვედი სუფევა...

— სა-ხე-ლი შე-ნი! მოაგონა რევიზორმა.

— ჩემი სახელი გიორგი გახლავსთ!.. ვითაარცა ცათა შინა... დამაცა ბიჭო, არ ამარევინო... სიჩუმეა.

— გრამმატიკიდგან იცით რამე? ჰკითხა რევიზორმა.

— ნწუუ!

— აბა დამისახელე შენ რომელიმე ოთხ-ფეხი ცხოველი?

— სტოლსა აქვს ოთხი ფეხი! სკამსა აქვს ოთხი ფეხი!..

რევიზორი დარჩა მეხ-ნაკრავივით. მასწავლებელი კიდე არსად არის. მაგრამ, აი, გაიღო კარები და შემოვარდა ქშენით წელანდელი „მდევარი“, რომელმაც იკისრა მასწავლებლის დახმარება და შემოიტანა სანუგეშო ამბავი: მასწავლებელი მობრძანდებაო!

— სად იყო? ჰკითხა რევიზორმა!

— ჩრდილში ხვრინავდა, ძლივს გავაღვიძე!

მაგრამ კიდე ნახევარი საათი გავიდა იმის ლოდინში. ბოლოს რევიზორის წინ გამოიჭიმა „დისტერველი“, ახალგაზრდა კაცი გაქლენთილი და გაფითრებულის სახით. რევიზორი მივარდა იმას გაალმასებული.

— მე თქვენზედ უკმაყოფილება უნდა განვაცხადო!.. მთავრობასთან... ინსპექტორთან!.. შენი ხსენება აქ არ იქნება!.. როგორ შეიძლება, რასა ჰგავს! შემოიტანეთ სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი!..

მასწავლებელმა ველარ ამოიღო ხმა; იდგა და ისმენდა მრისხანე სიტყვებს. იმან ველარ მოითმინა და ცრემლი მოერია თვალებში!.. რევიზორი მსგავს რასმეს როგორ წარმოიდგენდა!

— თავს ნუ ირცხვენთ ამათთან! ჩურჩულით უთხრა რევიზორმა მასწავლებელს და მიუთითა მოსწავლეებზედ, რომელთაც პირი დაეღოთ და შესცქეროდნენ ამ საკვირველ ამბავს...

ცოტა ხნის შემდეგ რევიზორი დამშვიდდა; სწყინდა რომ იმან მასწავლებელი იქამდისინ მიიყვანა. ნამდვილათ კი აი როგორ იყო: მასწავლებელს მახლობელ „საჯარო ადგილს“ გადაეკრა რჯულზედ და ამ მომეტებულმა ბახუსთან მუსაიფმა გამოიჩინა თურმე თვისი ძლიერი მოქმედება!

რევიზორს უნდოდა მამასახლისის როზგებ ქვეშ გატარება სკოლის სადგომის სიცუდისათვის და წარგზავნა მის წინაშე წელანდელი დესპანი მის მოსაპატიჟებლად, მაგრამ შინ არ აღმოჩნდა!

გამოვიდა ოფლით გაწუწული რევიზორი და ორიოდე მაგარი „მათრახები“ კიდე გადაჰკრა მასწივლებელს.

ზარებმა წკარუნი იწყეს და რევიზორის წასვლის შემდეგ ბიჭებიც დაიფანტნენ აქეთ-იქით.

გზა-გზა ისინი მილაპარაკობდნენ, თუ „მთავრობამ როგორ გაჰჯორა“ მასწავლებელი. მასწავლებელი სკოლის წინ დიდხანს იდგა თავ-ჩაღუნული რაღაც ღრმა და მწუხარე ფიქრებს ებრძოდა.

— ვის ეგონა, თუ ეხლა!.. ამ დროს!.. ფუი, დაგწყევლოს ღმერთმა! წარმოსთქვა იმან ბოლოს, ხელი გაიქნია და გასწია ისევ იქ, სადაც წელან ბახუსს ემუსაიფებოდა, რათა განაგრძოს მასთან ტკბილი საუბარი.

ვერმიცანიძე.

ქართლი, 29 მაისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთები გვაცნობებენ, რომ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გრენვილს უბრძანებია სტამბოლელ ელჩის ბ. გოშენისათვის, რომ იმანყოველთვის საფრანგეთის ელჩთან წინასწარ შეთანხმებით იმოქმედოს..

—

„ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოს“ სიტყვით, ოსმალეთის მთავრობას გადაუწყვეტია, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ინგლისის ყოველ მოთხოვნილებას. ამ დღეებში მინისტრებს და საპატიო კაცებს დიდი რჩევა ჰქონიათ, რომელშიაც გადაუწყვეტიათ ფრთა შეჰკვეცონ ოსმალეთის შინაურ საქმეებში სხვა-და-სხვა სახელმწიფოების გარევას, რა ნაირიც უნდა იყოს ის გარევა—ყველასი ერთად იქნება თუ მხოლოდ ერთი მათგანის. უცხო ქვეყნებში მყოფ ელჩებისათვის ნოტა გაუგზავნია, რომელშიაც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი სომხეთზედ. ეტყობა ოსმალეთს სრულიად არ ჰსურს სომხების ბედის გაუმჯობესობა. საზოგადოთ ხონთქრის მთავრობა ძალიან ჯიუტობას სწევს და არ უნდა არაფერი დაუთმოს ევროპის სახელმწიფოთა მოთხოვნილებას.

—

ავსტრი-ვენგრიის იმპერატორი ფრანც-იოსები ეხლა მოგზაურობს ჩეხიაში, რომლის დედა-ენას, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მხოლოდ ამ მოკლე ხანში მიენიჭა კანონიერი უფლება. როდესაც ფრანც-იოსები პრაგის ანატომიურს ინსტიტუტში შევიდა ჩეხიელ სტუდენტებმა თავის ენაზედ სალამის დაძახებით ხმა ჩაუწყვიტეს ნემენც სტუდენტებს, რომელთაც სალამი ამის გამო ვერ გაიგონა იმპერატორმა. ზარდა ამისა ჩეხელებმა მოსთხოვეს რექტორს, რომ იმას თავის სიტყვა ჩეხურად წარმოეთქვა, მაგრამ როცა მან ნემენცურად დაიწყო ლაპარაკი, მაშინ ყვირილით ხმა ჩააწყვეტინეს, როგორც იმას ისე თვით იმპერატორსაც, რომელმაც ნემენცურადვე უპასუხა რექტორს. ამის შემდეგ ბრძანება გამოსცეს, რომ სადაც იმპერატორი იქნება იქ სტუდენტებს ნუღარ მიუშვებენ.

—

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამას წინად ერთმა ოსმალომ ველი-მაჰმედმა სტამბოლში, ქუჩაზე დღითი მოჰკლა რუსის პოლკოვნიკი კუმმერაუ. მკვლელს ოსმალოს სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ხონთქარმა იშუამდგომლა რუსეთის იმპერატორთან, რომ ველი-მაჰმედს სიკვდილით დასჯა ეპატიოს. იმპერატორმა უარი გამოუცხადა ხონთქარს: ვერ ვაპატიებო. ამის შემდეგ ხონთქარმა ველი-მაჰმედის ბედის წერის გადაწყვეტა მაჰმადიანების უზენაეს სასულიერო სამსჯავროს მიანდო. ამ სამსჯავროში შეიჰ-ულ-ისლამს და ულემებს ერთხმად გადაუწყვეტიათ ველი-მეჰმედ სიკვდილით ნუ დაისჯებაო.

—

ერთ-და-ერთს ჩვენი გაზეთის მოწინავე წერილში მოყვანილი იყო, სხვათა შორის როშფორის სიტყვები, რომ „როცა პარიჟში დავბრუნდები პოლიციის პრეფეტს სილის გაურტყმელს არ დავტოვებო.“ ამის გამო პრეფეტის სიძეს კეხლენს დუელში გამოუწვევია როშფორი და კიდევაც მძიმედ დაუჭრია ხმლით გულის ცოტაღა დაბლა. იმედი აქვთ, რომ როშფორის სიცოცხლეს ამითი არა უჭირს რა. როშფორის შვილმაც გამოიწვია დუელში გაზეთი „Gaulois“ ერთი თანამშრომელი, რომლის წერილსაც შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის. გამოწვეულმა არ გაჰყვა, მაგრამ გაზეთის რედაქტორმა მამას, ანრი როშფორს მისწერა, რომ ჩვიდმეტი წლის ბავშვს კაცი როგორ გაჰყვება დუელშიო, და თქვენ თუ გნებავს, მე მზათა ვარ დუელში გამოგყვეთო. ვინ იცის, იქნება ეს მეორე დუელიც მოხდებოდა, რომ ეს წერილი როშფორს გვიან არ მიეღო, ე. ი. მაშინ, როცა უკვე დაჭრილი იყო პირველს დუელში.

—

ლონდონიდამ იწერებიან, რომ ბერლინის კონფერენციაში ინგლისის წარმომადგენლებად იქნებიან ლორდი როსსელი და ღენერალი სიმმონს.

# განცხადებანი

—

**იაგორ კასუმოვის** და კამპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად.**

(10—5)

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შხოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(40—17)

---

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—9)

---

ჩაი! ჩაი! ჩაი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—4)

---

**მზრუნველი რჩევა ტფილისის მიხაილოვის ტეხნიკურ—სარკინისგზო სასწავლებლისა** ამით აცხადებს, რომ ამ წელს სასწავლებელში შემოსვლის მსურველთათვის მისაღები ეგზამენები დანიშნულია 16 აგვისტოდამ ამ თვისვე 31—მდე.

თხოვნა უნდა შემოიტანოს სასწავლებლის უფროსის სახელობაზე, რომელიც ვორონცოვის წყლის-პირა ქუჩაზე (ნაბერეჟნაია) სასწავლებლის სახლში სდგას.

თხოვნა მიიღება 1—დამ 15 აგვისტომდე. თხოვნასთან უნდა იქმნეს წარმოდგენილი: 1) მეტრიკის მოწმობა და 2) მოწმობა ყვავილის აცრაზე.

**მოსამზადებელ კლასში შემსვლელს შემდეგი ცოდნა მოეთხოვება:**

1) სამღვთო წერილიდამ: ღმერთის შემეცნება. ლოცვების ცოდნა გარკვეულად და გაგებით საღმთო ისტორია.
1) რუსული ენიდამ: წერა-კითხვა. აზრიანად მბობა წაკითხულისა. კარნახობით (დიქტოვკით) წერა. გარკვევა წინადადებათა.
3) არითმეტიკიდამ: ცოდნა სივრცის და უბრალო წინადადებისა. ნუმერაცია. ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებისა.

(განმარტება სასწავლებლის პროგრამაში.)

**პირველს ტეხნიკურ კლასში შესვლისათვის შემდეგი ცოდნაა საჭირო:**

1) საღმთო წერილიდამ ძველი და ახალი ილთქმა.
2) რუსული ენიდამ: სინტაქსისი და ეთიმოლოღია.
3) არითმეტიკიდამ: პროპორციამდე.
4) გეოგრაფიიდამ: დაბალ სასწავლებლების კურსი სმირნოვისა.

(განმარტება სასწავლებლის პროგრამაშია.)

მოსამზადებელ კლასში შემსვლელი 13-დამ 16 მდე-წლის უნდა იყოს და პირველს ტეხნიკურს კლასში შემსვლელი—14-დამ 18 მდე წლის. წლიური გადასახადი სწავლისათვის 10 მანეთი.

სასწავლებელთან გამართულია მსურველთათვის სამზარეულო, თვეში 4 მ. 50 კ. სადილი.

ამ სასწავლებლის პროგრამმა იშოვნება სასწავლ. კანცელარიაში და ვართანოვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდზე.

(3—3)

---

სავაჭრო სახლი

# იაგორ კასუმოვი და ამხ.

ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელნიც „სავაჭრო სახლში“ შესანახავად ფულს შემოიტანენ, დღეის შემდეგ ახალ გამოცხადებამდინ,

**აძლევს:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1) მიმდინარე ანგარიშით (ტეკუშჩი სჩოტით) შეტანილს ფულზედ: | | | | |
| უპირობოთ და პირობით | — | — | — | 4½% |
| მოთხოვნამდინ | | — | — | 4½% |
| 2) ვადით შეტანილს ფულზე: | 6 თვით | — | — | 6% |
| | 9 თვით | — | — | 6½% |
| | 1 წლით | — | — | 7½% |
| | 1½ წლით | | — | 8% |
| | 2 და მეტი წლით | | | 8½% |
| 3) სპეციალურ შეტანილ ფულებზედ 1 ხარისხის პაისჩიკებს—9% | | | | |

ფულის გასესხების დროს „სავაჭრო სახლი“ ახდევინებს:

| | | |
|---|---|---|
| იმ სესხზედ, რომელიც თვეობით უნდა იქნეს გარდახდილი | | —10% |
| კვირაობით გარდასახდელ სესხზე | — | — 9% |

სავაჭრო სახლის კანტორა იმყოფება ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვების სახლში. შესანახავად მიტანილ ფულის მისაღებად და ადებულის ვალის შემოსატანად კანტორა ღიაა მუდამ დღე დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ; უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ 10-მდინ.

(10—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი